# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1084

დამატების № 191

კვირა, 5 იანვარი 1914 წ.




სფინქსი.

## ზღაპარი

„ჭაბუკნი მათნი შესჭამნა ცეცხლმან
და ქალწულნი მათნი არა იგლოვნეს!!..
ფსალმუნი დავითისა 77 მუხლ. 63.

I

გაზაფხული იყო გომბორის მთაზე,
ტყე ირხეოდა მწვანედ აყრილი,
ჰკვნესდა ბულბული გრძნობა წარმტაცად,
ვითა მიჯნური მიჯნურს გაყრილი!
ტყისა წიაღში თრთოდენ ყვავილნი,
მათდა საკოცნად ივლტოდა წყარო,
ასეთს სიყვარულს ჰლოცავდა მიწა,
ჰლოცავდა ზეცა, მთელი სამყარო!

იქ მთის გული ტახტად უდგას
ზეალმართულს ციხე-საკანს,
ვით სამსხვერპლოს, ვით გოლგოთას,
ვით წმიდა ყრმის წმიდა აკვანს.
მას პირდაპირ კლდე ნაპრალი
ამოდ გასცქერს, ამაოდ სწუხს,
და რომ სევდა დაუნელოს
კლდეს ჩანჩქერი ზეჩამოჰქუხს.

მე ვიცნობდი მარჯვე ვაჟკაცს,
მას ციხესა დატყვევებულს,
ვიცნობ დედას, გმირის მშობელს,
ქირში მყობად დაყოვნებულს,
გმირის სატრფოს, ხელად შთენილს,
გულ-დაკოდილს ცოცხალ-ტრფიალს;—
სიყვარულის ძიებისთვის
შეეწინდა ვნების ფიალს.

II

შემოღამდა. მთვარის შუქი
ჯიღათ ადგამს მყინვარზე თოვლს,
მთის ბილიკზედ მიმოსცურავს,
ეტანება ხეზედ ფოთოლს...
ვიწრო-კლდოვან ბილიკს მოსდევს,
ყვავილს ჰკრეფავს იგი ქალი,
მას ოცნება დასტრიალებს,
მის თაიგულს ნიავ-ქარი.

ქ ა ლ ი.

—სიყვარულო! როს ჩემს გულში
ჩამოეშვი ნათელ სვეტად,
ფრთა შევისხი, გადმოვფრინდი
აქ, ყვავილის მოსაწყვეტად!

მწარტკბილი ბგერა შესწყვიტა გულმა,—
ბილიკზედ გაჩნდა ყრმა მომავალი,
ასული ჰკითხავს—პასუხს იძლევა.

ყ რ მ ა.

—ტუსაღს ვშიკრიკობ, ესა მაქვს ვალი.
კალათას დედა მატანს შვილთანა,
ტკბილეულია, საჭმელ-სასმელი...

ქ ა ლ ი.

—დარჩი!—შიკრიკად აწ მე ვიქნები!
ნუღარ აყოვნებ, ნუღარას ელი!..

III

მთრთოლვარე ხელს თაიგული
გაეშვა და ძირს ჩაგორდა,
წყარომდე ვერ მიაღწია,
მაგრამ წყარო არ დაღონდა.

—„ყოვლად შემძლე სიყვარულო,
მაღალია მთა გომბორი,
მაღლა ციხე ანაგები
და მისი გზა მეტად შორი.

—ყოვლად შემძლე სიყვარულო!—
გული სცემს და მოსთქვამს ქალი.—
რაზომ შორით-შორს ჰყოვნებდე,
არ გწვდებოდეს ხილვად თვალი,

ცას აჰვარდეს ლურჯი თალი,
აგიტაცოთ შენ და ციხე,—
მსხვერპლად გეგო ძიებაში,
ვითა ეროსს ნაზი ფსიხე...

IV

ტშშ!.. გათენდა!—არა, ჯერედ!
მხოლოდ სიომ მთას დაჰბერა,
გაძლიერდა იგი არსი,
გაუხშირდა გულის ძგერა.

სულ ცოტა დრო, მცირე ჟამი,
ერთი ღამე, ერთი ხანა
და იმ ასულს სინამდვილედ
გადაეხსნა სხვა ქვეყანა.
სდგას საკანში; შეჭმუნვებულს,
თავგანწირულს ჰხედავს ტყვესა;
ლოცვად მდგარი ზე-წამოდგა,
არ ელოდდა არვის დღესა!

ჭ ა ბ უ კ ი.

—აქ რა გინდა? გზა ვინ მოგცა?
ჩემო სულო, ჩემო სირო!
ჰა, თენდება და გადასწყდა,
დილის მსხვერპლად შევიწირო.
მოხველ! მნახე, ჩემო სატრფოვ,
მაშ, ჯერ მითხარ... მოდი ახლო!—
ჩემსა მშობელს, მოხუცებულს
მტერმა ხელი ხომ არ ახლო?

ქ ა ლ ი.

დიახ, მამა აღარა გყავს,
ხელით მოჰკლეს ასასებმა,
ხოლო შენი წმიდა ღვაწლი
ააყვავეს შენებრ სხვებმა...

ჭ ა ბ უ კ ი.

ვინუგეშო! მტერია სცდება,
არა ჰკვდება მადლი სრული...
აჰა, მტერო, ჩემი ლეში,
ხოლო მამულს ვუძღვნა სული,
მაგრამ, მითხარ—დედაჩემი?..
დედაჩემი, ჩემთვის ტკბილი?—
სასო ხომ არ წარიკვეთა,
რაკი ტყვეა მისი შვილი?

ქ ა ლ ი.

დედაშენი... მოუძლურდა,
ცას ხელს აპყრობს, მტერსა ჰრისხავს,
ცხელი ცრემლი თვალთ უბნელებს,
თავზე ცივ წყალს ხშირად ისხავს...
აი, გამოგზანა დედამ,
ღვინო არის, ნაზუქები...
და მიზეზიც ეს მომეცა,
გამიშვებდენ დარაჯები.
როცა, გმირო, გულმა იგრძნო,
დღე დაგიდგა აღასრულო,—
გზას შევუდეგ, მოვილტოდი,
და შენთან ვარ, ნიჭო სრულო!
თეთრი გვირილა გვირგვინად დავწან,
ია მოვკრიფე, შევკვანძე კონა,
შენთან მომქონდა, მაგრამ, ვაიმე!—
ქარმა მომტაცა და დამალონა...
ერთი ეს მითხარ, ჩემო საუნჯევ!—
მკერდს რად უმიზნებ ასასის ტყვიას?
რად ჰმოჩრჩილდები? შენ ხომ შეგეძლო...
წამო, გავიქცეთ! ჰხედავ კარს ღიას?

ჭ ა ბ უ კ ი.

ეჰა, როდემდის? ამაოდ: ვიცით,
მტერი სამშობლოს ირგვლივ სდარაჯობს
და რომ წამება მოკლედ დასრულდეს
არ გვირჩევნიან, ასე არა სჯობს?

ქ ა ლ ი.

ეგ მართალია, მაგრამ მე ვიცი
შენი ბუნება თავისუფალი;
წამო, გადეშვი კლდოვან უფსკრულსა,
რომ მტერმა ლეშსაც ვერ მოჰკრას თვალი.
დღე მგოსანმაც ასე იმღეროს,
ჩვენი სამშობლო ასე შეამკოს:



მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ატელიე.

„ვნახე წალკოტი, ვნახე და მიკვირს
„ბუნებამ არე ესოდენ სრულჰყოს!—

„კლდე აწვდილი, ატყორცნილი,
„გმირის სისხლი კლდესა ჰლებავს
„ძირს ჭალაკში იადონი
„მგლოვიარე ჰკვნესის, ჰყეფავს.
„მთის ფერდობზე სდგას რამ ციხე,
„საპყრობილედ იწოდება...
ხორციელად დაძლეული
სულით გმირი არა ჰკვდება!..
მაშ წავიდეთ!

ჭ ა ბ უ კ ი.

შესდექ! აჰა,

ღამემ სული განუტევა,
მე დავრჩები; წასვლა ჩემი
არ იქნება მტრისა ძლევა.

შენა ხარ სარკე ჩემის სულისა
და შენ იცოდე ეს ხვაშიადი:
თავისუფლების წყურვილით ვიწვი,
მინთია გულში ცეცხლი, დიადი.

გულს ვერ შევახებ სამშობლოს კლდესა,
როგორ ვაკადრო ან ლეში მკვდრისა!
სამსჯავრომ ტყვია შემომთავაზა,
მეც ტყვია მინდა! ტყვია მსურს მტრისა!

დეე, ჩემო სულის სარკევ,
ჩემი ცეცხლი შეჰხვდეს მტრისას
დეე, მტერი დაეუფლოს
სულს ვერა და სხეულს მკვდრისას.

გული ჩემი მივცე ტყვიას
მსხვერპლ შეწირვად, ამინ! ახდეს!

რომ სამშობლო საყვარელი
განსპეტაკდეს და განახლდეს!

V

საპყრობილეს ქვიან ეზოს
სდგას სვეტები ძველის-ძველი,
ტყვე-ჭაბუკი სდგას სვეტთანა,
სასიკვდილოდ დასასჯელი.
შორი-ახლო ასასები
ამზადებენ თოფს, ტყვიასა,
მოშორებით სდგას ასული,
მწუხარება გაიასა.

საალერსოდ ხელებს აპყრობს,
სატრფოს ელტვის საკოცნელად,
მაგრამ ვაი, გვიან არის,
მისაღწევი ეგრე ძნელად.

ტყვეს ხელები გათოკილი
სვეტსა სალტედ შემოუკრავს.
თავ აწევით ცას შესცქერის,
სიკვდილივით ცივს და უძრავს.

დაიქექა თოფმა, ტყვიამ...
შეჰკრთა ოდნავ, მომაკვდავი,
ცას თვალები მოსწყვიტა და
ჩამოუშვა გულზედ თავი.

მსხვერპლის წინაშე მუხლი მოდრიკა
ასულმა, მისკენ ხელგაპყრობილმა,
ერთხანს დადუმდა, თითქოს მწუხარე
ფიქრმა შეიპყრო, წაიღო ძილმა;
მერე აღმოხდა კვნესა და დრტვინვა,
მწარედ ხელები გადაიმტვრია:—
—„ოხ, საყვარელო! ვაჰმე, აღსრულდა!
„ვაგლახმე მტერი, ვაგლახმე ტყვია!—
დადუმდა. კვალად თვალ ვაშტერებით



იესო ქრისტე და მეძავი ქალი.

ფიქრებს მიეცა, რა გვარს, არ ვიცი;
ხოლო აღსდგა რა ძალა მოსილი,
ვითარცა ლოცვა, აღმოხდა ფიცი.

**ფ ი ც ი.**

 აი, ხელები გადავაჭდიე
და შემოგვიდრე, ცავ, შემოგფიცე;
უკუ ვაქციო ტირილი, მოთქმა;
თმა არ ვიგლიჯო, თავში არ ვიცე;
როცა მამაჩემს ფარხმალს წაართმევს
მტერი აფთარი და თავ-გასული,—
მე ბრძოლად გვერდში ამოვუდგები,
ღირსეულს მშობელს ღირსი ასული.
თუ სატრფო ჩემი, თავგანწირული,
მტერმა განგმიროს, მტერმა გაფათროს,
იგლოვე გულო! მაგრამ ხელები
მტერთან ბრძოლაში ამართე ამ დროს.
ჩემი ძმა იყო, რომელიც მტერმა
ბრძოლად გასული ვერ იგდო ხელსა,
მაგრამ ძალები შემოიკრიბა,
მიჯაჭვა გმირი, დაააკვნესა.
ვფიცავ დაძმობას! ძალით გრძნეულით
ქვეყნად მოვკრიფო გმირთა სულები!
მკვდრეთით, იმ ქვეყნით გამოვითხოვო
განსასვენებლად გადასულები!..
მიწას აღმოჰხდეს სულთქმა შვებისა,
თავისუფლების ძახილით სავსე!
ღმერთო, მაღალო, სამართლიანო,
შემოგღაღადებ, შეგფიცავ ასე!
ყოველმა დედამ ყოველი შვილი
მამულისათვის დაავაჟკაცოს,
ეტყოდეს ხვედრსა მამაპაპათა,
აღაფრთოვანოს და აღიტაცოს!
ეს არის ფიცი, ეს არის ლოცვა!
გრაკხების დედაც შვილს ა'ვე ზრდიდა;
რომ მტერს ვაჟკაცი არ დაეჯაბნა,
„სიკვდილს შეჰხვდიო“!-მახვილს აწვდიდა..

**ბაბილინა.**

# მ ი ნ ი ა ტ ი უ რ ე ბ ი

(ტეტმაიერისა).

**ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა.**

ნურას ვიტყვით ბედნიერებაზე, რომელიც ჩვენ გვწყურიან, ნურას ვიტყვით მაგე... ბედნიერება, ვით პაწია ჩიტი, ადვილად დასაფრთხობია.

ველოდეთ წყნარად, ნურას ვიტყვით, ნურც ვიფიქრებთ. გულის იდუმალ სიღრმეში ველოდეთ მას მოუთმენლად, და თვით ოცნებასაც დაუფაროთ ეს სურვილი, რადგან ბედნიერება, ვით მზე ღრუბლის ნაკვთებში, ოდნავ გამოკრთის და ისევ მალ მიეფარება.

ნუ მოუწოდებთ ბედნიერებას, ნუ მივილტვით მისკენ, ნუ ვიბრძოლებთ მისთვის; ვით ბავშვები ფიქრობენ, რომ შობის წინა ღამეს მივა მათთან ქრისტე საჩუქრებით, და კრძალვით, მოუთმენლად ელოდებიან მას, იმ რიგად ჩვენც ველოდეთ ბედნიერებას, თუ ჰსურს დაე მოვიდეს! ჩვენ ნუ მივილტვით მისკენ.

ბედნიერება წააგავს მზეს, რომელსაც ელოდებიან ყვავილნი, ის ყვავილნი, რომელნიც მხოლოდ ერთ დღის განმავლობაში ჰყვავიან. მათ არ შეუძლიანთ მზესთან წასვლა, ისინი მხოლოდ ელოდებიან მზეს. თუ დღე ბრწყინვალეა იხილვენ მზეს, თუ ღრუბელი ფარავს ცის სივრცეს, ამაოა მათი ლოდინი. დასჭკნებიან, მზეს ვერ იხილვენ, საღამოს ჟამს სიკვდილის წინ იტყვიან: ამაოდ გავიფურჩქნეთ მზისთვის, არ მოვიდა. მშვიდად ველოდეთ ბედნიერებას, ის გულისთვის იგივეა, რაც მზე ყვავილთათვის: თუ მოვა, დეე მოვიდეს.

ნურას ვიტყვით ბედნიერებაზე, რომელიც სწყურიან სულს, ნურას ვიტყვით, ის ფრთხალია ვით პაწია ფრინველი.

**მომავალი ბოროტება.**

დამშვიდდებით უცქირე ბოროტ მომავალს. რა უყოთ რომ ის აუცილებელია! შესაძლოა შენ კი სულ სხვა გვარად ჰფიქრობდი. ოხ! მეტად სამწუხაროა. სულ სხვა რიგად შრიალებდა ტყე, სულ სხვა გვარად დუდუნებდა მდინარე, ვიდრე მოხდა ის, რამაც შეჰქმნა აუცილებლად მომავალი ბოროტება. სულ სხვა გვარად ანათებდა მზე, სხვა რიგად მოძრაობდა ხელი და ფეხი, სხვა გვარი იყო სუნთქვა, გრძნობა და ფიქრი სხვა გვარი ადამიანი იყავ ვიდრე მოხდა ის, რამაც შეჰქმნა მომავალი ბოროტება.

გახსოვს ეს?

რას არ მისცემდი, რომ გამოგღვიძებოდა წინანდელ ფიქრებით და არა ოცნებით შენს მომავალზე?

მომავალ ბოროტებას რომელსაც ჰხედავ, აქვს ერთგვარი თვისება, სხვაზე არასფერზე შეგიძლია ფიქრი. რას არ მიცემდი რომ გამოგღვიძებოდა როგორც წინედ? რას ნიშნავს წარსულის ტანჯვა-ვაება, სასოწარკვეთილება იმ წუთთან შედარებით, როდესაც უცქერ აუცილებელ ბოროტ მომავალს?

სცხოვრობ ვით სიკვდილის დასჯას გადაწყვეტილი, ყოველი ლუკმა პურისა მწარეა, ყოველი საათი მოცულია საშინელებით, ყოველი მოსაზრება არის სიკვდილი.

უსაზღვრო შიშს განიცდი, გესლით სავსე ფინჯანი არის შენს ტუჩებთან, ბასრი ცელი გჭრის ხელის თითებს და ნარეკალი იფრინება შენს ფერხთ წინ. ოჰ, წყეული იყავ! წყეული იყავ! სამ გზით იყავ წყეული ცოდნავ მომავალ ბოროტებისა.

**დ ე დ ა კ ა ც ს!**

შენ სდგეხარ ჩემს წინ! შენი სახე მეჩვენება მრავალ სახედ, შენი გამომეტყველება მრავალ გამომეტყველებად. შენ ერთი ხარ, მაგრამ სახელწოდება კი მრავალი გაქვს. შენი თვალები ბრწყინავს, ვით ნაკადული ქვიშათა შორის, რომელიც თვისკენ მოუწოდებს მგზავრს. შენი სურნელოვანი თმა, თვისკენ იზიდავს ადამიანს ვით თბილი მოსაჩურავი ზამთრის ღამეს, შენი ბაგენი მომაკვდინებელი ნექტარია, თითქოს ყვავილებით შემკობილი გრძნობ თავს შენს ალერსში. შენი გული მხურვალეა ვით მზე. შენი გვერდების რხევა წააგავს ოცნებით გართულ ტალღების თრთოლას. შენს ხელებში თაფლის სიტკბოებაა და მხიბლავი ძალა გაზაფხულის დილისა. შენს სხეულში უფსკრულია ნექტარებისა, თითქოს მაღალ კვარცხლ-

ბექიდან გადმოსცქერი მინდორ-ველს, ივლისის მზის სხივებით გაბრწყინვებულს, რომელიც მტრედის ფერ ცის ქვეშ ინთქება. შენი ხმები თითქოს ამომავალი ვარსკვლავებია, ყველა სიტყვის შემდეგ ჩნდება ვარსკვლავი. სულში არასფერი რჩება გარდა ვარსკვლავთა თამაშისა—შენის სიტყვების.

მასში ყოველივეა, მცენარეთა აყვავება, მზის ნათელი, რომელიც ჩასწდომია წყლის სიღრმეს, და გამოძახილი სამარადისო მწუხარებისა.

ოჰ ნეტარებავ! ოჰ უგნურებავ! ოჰ უფსკრულო!

შენი სული მიჩანს ღვთაებრივ ღიმილად. რა შეიძლება იყვეს შენზე მშვენიერი თუ არა ღვთაება? და რა შეიძლება იყოს უფრო ღირსი სიყვარულისა? მსურს მიყვარდე ყოველგვარ გრძნობით, სისხლით, გულით სურვილით, მთელი ძალით, მთელი სხეულით, მთელ სიცოცხლეში სიკვდილამდის... მსურს მიყვარდე, გალმერთებდე და გადიდებდე. შენთვის მსურს ვიყვე კეთილი, ვგრძნობ როგორ შლი ახალ ცხოვრებას, ცხოვრებას კეთილსა და მშვენიერს, შენ ცეცხლი ხარ, რომელიც სწვავს ჩემში ყოველგვარ ცუდს, შენ მდინარე ხარ რომელიც სწმენდ ჩემში ყოველგვარ უწმიდურებას.

შენს სდგეხარ ჩემ წინ და შენი სახე მეჩვენება მრავალ სახედ, შენი გამომეტყველება მრავალ გამომეტყველებად. შენ ერთი ხარ, მაგრამ სახელწოდება მრავალი გაქვს.

შენ სიმბოლო ხარ.

და აი გეკითხები! არ იცი რასაც მოქმედობ, თუ ბოროტი ხარ?

ადამიანები მარწმუნებენ: არიან სხვა დედაკაცნიცო. მე მჯერა მათი... მხოლოდ სიტყვით...

## აჩრდილი.

ყოველ დროს თან სდევს ადამიანს აჩრდილი, და არას დროს არ სცილდება, არც დღით არც ღამით. ხშირად უდგას თვალ-წინ, მაგრამ ვერ აჩჩნევს, როგორც მოსალოდნელია ვერ შეამჩნიო მცენარე შენს სახლის წინ აღმოცენებული, ანუ ქუჩაში შენს წინ გზად მიმავალი, როდესაც ღრმა ფიქრს მისცემიხარ. მაგრამ ეს აჩრდილი ყოველთვის იმყოფება ადამიანთან, იმ დროს, როდესაც ბავშვი ნაზად ჩაკონებია დედის მკერდს, როდესაც ჩასცქერის სატრფოს მიბნედილ თვალებს და სცდილობს მწველი ცეცხლი აღანთოს მის გულში; იმ დროსაც, ოდეს უცქერ გაზაფხულის და ჰფიქრობ: შესაძლოა ჩემს საფლავზედაც მომავალ გაზაფხულზე აჩიჩინდეს მწვანე მოლიო.

დღით და ღამით, ყველგან და ყოველთვის თან სდევს ადამიანს აჩრდილი ერთგული ვით მარტოობა და ეს აჩრდილი არის სიკვდილი.

## სიკვდილს.

ოჰ სიკვდილო! წყნარო, თეთრო სიკვდილო! მარტონი ვართ ერთად, ვით შეყვარებულნი. რად არ უახლოვებ ტუჩებს ჩემს ტუჩებთან? გიცქერ შენ! ზიხარ ჩემს სარეცელზე, რომლიდანაც ეხლა ავდექი. შემოსილი ხარ თეთრად და მომცქერიხარ მხიარულ მტრედის ფერ თვალებით. რა მშვენიერება ხარ! ჩამეკონები?

რად არ მიახლოვდები, ჩემო საყვარელო! ჩემო მშვენიერო? სურნელოვანია შენი თმა, შენი სხეული მხურვალეა, შენს თვალებში, შენს ღიმილში ვსჭვრეტ სიყვარულს. გიყვარვარ? გსურს შენი ვიქმნე? რად არ მიახლოვდები?

წყნარად ვზივართ მარტოდ მარტო. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს! ოჰ რა მშვენიერი ხარ ჩემო სიკვდილო! არ შემწევს ძალა მოვიდე შენთან, გელოდები! მომიახლოვდი, მომიახლოვდი. საკვირველება, გამხმარ ხელებით, სისხლის მიმელოვდი. სასოწარკვეთილი, აზრის მომაკვდინებელი. სულის დამწყლულებელი, საშინელი გაფითრებული მხეცი, რომელსაც სიცოცხლეს უწოდებენ, კვლავ მიახლოვდება. სიკვდილო ნუ თუ კვლავ მისცემ მას უფლებას, სული დამიწყლულოს, კვლავ მაწამოს? არ მსურს კვლავ ტანჯვა, ძალა აღარ შემწევს, ან რისთვის?!!

მშვიდი და მკრთალი მეღიმები, ყვავილებია შენს თმაში, შენი გული ნაზად სძგერს, საამურად ირხევა შენი გვერდები, რაღაც საუცხოვო სურათი იშლება შენს ირგვლივ; მტრედის ფერი ცა, ტყე, ყვავილები, სიცოცხლე ტკბილი. ოჰ სიკვდილო!

მიცქერე! მიცქერე და გაიღიმე, რომ სავსებით შევიყვარო, რომ დავივიწყო ყოველივე და შევებით მოვეხვიო შენს სურნელოვან სხეულს, შენს ვარდის ფერ ტუჩებს, ოჰ სიკვდილო!

***

სიკვდილო შენ მეჩვენებოდი ეგეთ მშვენიერი და მომხიბლავი, როდესაც მეძახდი? და ეხლა როდესაც ჰსურს მოგიახლოვდე, საზიზღარი ხარ. ზიხარ ჩემს სარეცელზე, გამხდარი, საშინელი. გახრწნილი ზეწარი, რომელიც მხრებს გეფარავს, საზიზღარ სუნს აფრქვევს. შენი თვალები მკლავს ვით უფსკრული ჯოჯოხეთისა. აღარ მეძახი, ელოდები ჩემს მოწოდებას. ერთი წუთი გარდაწყვეტილებისა და შენი ძვლიანი ხელები მომეხვევიან თავზე. შენი გახრწნილი ზეწარი გადაეფარვის ჩემს თვალებს, და იქ, იქ კი დარჩება: სიცოცხლე, მხიარულება, ყვავილები, მტრედის ფერი ზღვა, თოვლით მოსილი მთები, ტყეები, სადაც ნიავი ხის მწვერვალებს თავს ევლება; დარჩება: ტბები, მდინარეები, რომელშიდაც ცხადათ სჩანან ჩრდილნი მახლობელ მცენარეებისა; დარჩება: სიყვარული, მშვენიერება, ოცნება, ყოველივე, რასაც სიცოცხლე ეწოდება სიცოცხლე—ედემი, ღვთაებრივი ძალა და გრძნობა. ოჰ სიკვდილო! სიკვდილო! რა საშინელი და საზიზღარი ხარ! გადამისვრი ვიწრო ბნელ სამარეში, მიწის წიაღში, საიდგანაც არასოდეს არ შეიძლება თავის დაღწევა, სადაც ჩემი სხეული უნდა გაიხრწნას, სადაც მტვრად, ამაოებად გარდვიქმნები. სიკვდილო! რისთვის ხარ ეგეთი მშვენიერი, როდესაც მოუწოდებ ადამიანს და რისთვის ხარ ეგეთი საზიზღარი, როდესაც თვით შენ მოგიწოდებს ადამიანი?

## გაზაფხულის ღამეს.

მითხარ! კვლავ სიამოვნებ ბუნების სიტურფით? ისევ გხიბლავს მზის ცქრიალა სხივნი? იგეთივე ნაზ სურნელებას გაფრქვევენ ყვავილნი და მცენარენი ვით წინედ?

და ის კი მოდის! მოდის ფერია გაზაფხული, იფურჩქნებიან ყვავილნი, თესლი ღებულობს ნაყოფს. მოდის საამურ სურნელებით. იგეთს გულის ცემასაც კი აღვიძებს, რომელიც მკვდარი გეჩვენებოდათ. სადღაც მდინარის პირას ლერწმებთა შორის გამოჩნდა ის მკერდ გადეღილი. მოდის, რათა შუადღისას აიხსნას ოქროს ფრთები, რათა ინავარდოს მთვარის შუქით მოვერცხლილ ღრუბლის ნაკვთებზე. ხელთ უპყრია შვიდფეროვანი ცისარტყელა, მოდის რათა აღანთოს ქვეყნის სივრცეზე მზის სხივნი.

რომ გავსულიყავით მინდვრად, დავინახდით მას ვიდრე დამალვას მოასწრებდა.

დავინახოთ მდინარის ქაფზე, როგორ არხევს საუცხოვო ოქროს კულულებს.

დავინახოთ.

უთუოდ ამის მზგავსი იყო ბერძნების ვენერა, როდესაც დაიბადა ზღვის ქაფიდგან. განა არ იცი სიზმრები საუცხოვონი არიან და მხოლოდ სიზმრისათვის ღირს სიცოცხლე? ცხოვრებაში, სიზმარზე საუცხოვო არა არის რა.

და გული რომლის ხილვას ლამობ, არ იქნება ისეთი საუცხოვო როგორიც სიზმარი. განა ვჰფიქრობ, ოდესმე იყო დედა-კაცი მზგავსი მილოსის ვენერისა? ჩვენს წინ მხოლოდ განხორციელებაა მის, რაც სუფევს მხატვრის სულის სიღრმეში.

გაზაფხულის, ვარსკვლავებით მოთესილ, ღამის ბინდში, ცაფარფატებს სიზმარი და ზეშთაგონება. წარმოგიდგენია ოდესმე ეგეთს ღამეში, თითქოს შენს წინ გადაშლილია თვალუწვდენელი ტბა, რომლის სივრცეზე თითქოს ნავით მისცურავენ თეთრი აჩრდილნი. ვფიქრობ: ეს ოცნებაა, რომელიც იბადება ადამიანის სულის სიღრმეში, ეს ფიქრთა გამოხატულებაა, ეს ოცნებაა სულისა, არა იმ სულის, რომლითაც ადამიანები გრძნობენ, აზროვნობენ, არამედ იმ სულის, რომლის გამოცნობა ჩვენც ოდნავ ძალგვიძს.

გეჩვენება: თითქოს ტბის პირად სდგანან ადამიანები და შესცქერიან მცურავ ოცნებას. ამ ოცნებისაკენ მიფრინავს უსაზღვრო სევდა ნაპირად მდგომ ადამიანთაგან. სად მისცურავს ოცნება მათ სულის სიღრმიდან წარმოშობილი, მათ არ იციან. უცქერიან მხოლოდ, რომ ოცნება შეცურდა ამ სიზმრის მორევში და მიისწრაფიის იქ, სადაც სული, რომელიც მათში სუფევს და აზროვნებს ვერასოდეს ვერ მიაღწევს.

ჩემ სულის სიღრმიდანაც ამოცურდა ეს ოცნება და არ ძალმიძს გავყვე მას. სხვათა შორის მეც ვსდგევარ ტბის პირას და ვით სხვანი ვეძლევი მწუხარებას.

ეს გაზაფხული მომიწოდებს სადღაც სხვა მხარეს. გამშვენიერა სული ჩვენი ყვავილებით და მოსწყვიტა ყველაზე ნაზი და საუცხოვო.

ვარსკვლავებით მორთულ გაზაფხულის ღამეს ორგვარად სცხოვრობ, რაღაც სწყდება გულის სიღრმიდან და მიფრინავს უცხო მხარეში. ადამიანი მწუხარებას ეძლევა და ნაღვლობს რომ თვით მთელი სხეულით არ ძალუძს გაჰყვეს მას. ვალალებს რომ იძულებულია იდგეს ტბის პირად და უცქიროს ზეშთაგონებით მოვლინებულ სიზმარს, იმ თეთრ აჩრდილებს, რომელნიც სხედან ნავში, და მისცურავენ ტბის სივრცეზე შორს! ძრიელ შორს. უცქერი და სწუხარ.

ნუ თუ ეს წინასწარ გრძობა არ არის სიკვდილის შემდეგ დიდებულ გაზაფხულისა?

მიხ. ბოჭორიშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.